

-ყე სუფიქსის თავდაპირველი ფუნქციის შესახებ ქართული ენის ისტორიულ მორფოსინტაქსურ მოდელში

ავტორი ციალა ბენდელიანი

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის ქ., 59

ელფოსტა: ciala.bendeliani@gmail.com

ანოტაცია

სტატიაში განხილულია -ყე სუფიქსის ფუნქციები ქართული ენის დიალექტებსა და სამწიგნობრო ენაში. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ შესაძლოა -ყე სუფიქს-მორფემოიდის თავდაპირველი ფუნქცია ყოფილიყო მრჩობლობის, წყვილობის გამოხატვა ზმნაში, შემდგომ არის ის მრავლობითის გამოხატვის ფუნქციით, როცა დაეკარგა ორობითი რიცხვის გამოხატვის ფუნქცია. ორობითი რიცხვის კატეგორია მსოფლიოს მრავალ ენასა და დიალექტში გვხვდება, ზოგან ის გრამატიკული საშუალებებითაცაა გადმოცემული. ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში, ძველ ქართულში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ლექსიკური მასალა, რომელთაგან არცთუ მცირე ნაწილი ენაში დღესაც გამოიყენება, მაგრამ გრამატიკული საშუალებები, გამონაკლისის გარდა, ენაში ცნობილი არ არის, ისიც გვხვდება მხოლოდ სახელებში (ხევსურულში).

-ყე სუფიქსი ქართულ წერილობით ტექსტებში VII საუკუნიდან დასტურდება, ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრების მცდელობა კი შუა საკუნეებიდან იწყება, კერძოდ, იოანე პეტრიწის ენასა და გელათის სამწიგნობრო სკოლაში. ამ დრომდე ის გავრცელებული ჩანს აღმოსავლურსა და დასავლურ დიალექტებში.

მსოფლიოს სხვადასხვა ენაში არსებობს მრჩობლობის/წყვილობის (ორობითი) რიცხვის გამოხატვა როგორც გრამატიკულად, ისე ლექსიკურად, ქართულში ის მხოლოდ ლექსიკურად გამოხატულადაა მიჩნეული, ზემოდასახელებული

მაგალითის გარდა. ორობითი რიცხვი ძველი მსოფლიოს ენებიდან არის აზიურ ენებში, ევროპულ ენებში იგი ძველი ინდურიდან მომდინარეობს.

ქართულს, როგორც მდიდარი მორფოლოგიის მქონე ენას, უთუოდ უნდა ჰქონოდა გამოხატვის გრამატიკული საშუალებებიც. არ გამოირიცხება ენათა კონტაქტებიც: უძველესი ენებიდან, რომლებთანაც ქართულს კავშირი ჰქონდა, ორობითი რიცხვი აღდგენილია ხეთურში, ჰქონდა ძველ ანატოლიურ ენებსა და ბერძნული ენის ატიკურ დიალექტს. ბევრ მკვდარ ენაში ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაიკარგა. ორობითი რიცხვი ჰქონდა არაბულსაც, რომლის კვალი იპოვება არამეულ ენაში. არამეული ენა საქართველოში გავრცელებული იყო ქრისტეს შემდგომ საუკუნეებში. ამავე პერიოდის არაბულსაც იგი ჰქონდა. არაბულის საქართველოში არსებობის პერიოდსაც სიმპტომატურად ემთხვევა -ყე ნაწილაკის დადასტურება. მიჩნეულია, რომ წყვილობის გამომხატველი გრამატიკული საშუალებები დაკავშირებულია ენათა განვითარებულობასთან ანუ განვითარებულ ენობრივ ცნობიერებასთან, მაგრამ გვხვდება ეგზოტიკურ ენებშიც (ვ. ფონ ჰუმბოლდტი).

დასაშვებია ქართულში მთის იბერიულ-კავკასიური ენების მორფოლოგიური ინვენტარის გამოყენებაც: ამ ენებში იპოვება რიცხვითი სახელ ორის აღმნიშვნელში **ყო, ყუ, ყუე, ყა და ყე** მარცვლები. მთის კავკასიური ენებიდან მომდინარეობენ ქართულში ფუძეები: **ტყუ-ბი/ტკუ-ბი/ტყუ-ჭი...** რომლებშიც **ტ** განვითარებულად ითვლება, იგივე ძირი დასტურდება ძველ ქართულშიც: **ტყუ-ელ-ვ-ა** „ორივე ხელით ტაშის ცემა“. ზანურსა და სვანურში რიცხვითი სახელ ორის აღმნიშვნელებში, ერთი მხრივ, გვაქვს **ოორი**, მეორე მხრივ, **ყ-ორი**. ირკვევა, რომ მეგრულსა და ჭანურში ფონეტიკურად **ყ-ს** **ა-ად** შენაცვლება დოკუმენტურად საბუთდება.

გამოთქმული მოსაზრება, რომ -ყე არის განსაზღვრებითი ნაცვალსახელის **ყველა**-ს ცვეთის შედეგი (არნ.ჩიქობავა), შესაძლოა სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს. ქართულში მრავლობითის აღმნიშვნელი ნიშნები სხვადასხვა კილოური წარმომავლობისაა. -ყ და -ყე ზმნაში პირისა და რიცხვის ნიშანი არ არის, ის მხოლოდ მიუთითებს სიმრავლეზე, გამოხატავს მრავალგზის მოქმედებასაც.

-ყე რომელიღაც ქართული კილოს კუთვნილება ჩანს, რომლის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ზმნის პირთა ორობითობის აღნიშვნა, შემდგომი მოვლენა უნდა იყოს მისთვის სიმრავლის გამოხატვის ფუნქციის დაკისრება, როცა უკვე დაეკარგა ორობითობის გამოხატვის ფუნქცია, შდრ. მსოფლიოს სხვადასხვა ენაში ასევე ჩანს იგი გადაშენებული, ხოლო მრავალდიალექტიან ძველ ბერძნულში იგი მხოლოდ ატიკურ დიალექტში დასტურდება.

საკვანძო სიტყვები: ისტორიული დიამორფოსინტაქსური მოდელი; სუფიქს-მორფემოიდები; გრამატიკული კატეგორიები.

შესავალი

-ყე სუფიქსის შესახებ ვრცელია სამეცნიერო ლიტერატურა. მისთვის ძველ გრამატიკოსთა ნაშრომების კვალად, ყურადღება მიუქცევიათ შემდგომი დროის ენათმეცნიერებსაც (ჰ.შუხარდტი, მ. ბროსე, არნ.ჩიქობავა), ხოლო დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში მრავალმხრივაა განხილული ამ სუფიქსის ფუნქციები მთელს ქართულ დიალექტურ სივრცეში. იგი გვხვდება არა მხოლოდ სიმრავლის გამოსახატავად, არამედ გადმოსცემს მრავალგზისობასაც. ცალკეული დიალექტის/თქმის მიხედვით მასთანაა დაკავშირებული ობიექტებისა და სუბიექტის მრავლობითობის გადმოცემა. ზოგი ფუნქცია ამ სუფიქსს ქართულ სამწიგნობრო ენაშიც უნდა ჰქონდეს შეძენილი, მაგალითად იოანე პეტრიწის ენაში, სადაც გვხვდება ხოლმეობითშიც, ან ეს ფუნქცია რომელიღაც ქართულ კილოში ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ მასალობრივად დაზუსტებულია -ყე- სუფიქსის ფუნქციები, კვლავ კვლევის საგანია, რომელია ამ სუფიქსის თავდაპირველი, ამოსავალი ფუნქცია (ან ფუნქციები), სიმრავლის გადმოცემა თუ მრავალგზისობის გამოხატვა. თუ სიმრავლის გადმოცემა, რა სახისა იყო ეს სიმრავლე, ორობითი თუ გაფართოებული სიმრავლე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას შესაძლოა კავშირი

ჰქონდეს ქართულ ენობრივ სისტემაში მრჩობლობის, წყვილობითი რიცხვის გამოხატვასთან. ეს კატეგორია ქართულში, გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სუსტადაა წარმოდგენილი. იპოვება ხეცსურულში, მხოლოდ სახელებში, თითქოსდა ჩანს ნიშნებიც, მაგრამ ეს მოსაზრება გაზიარებული ნაკლებადაა. შეიძლება არც არსებობდეს, თუმცა ძველ ქართულსა და შემდგომი პერიოდების სალიტერატურო ენასა და ქართველურ ენათა დიალექტებში იპოვება მრჩობლ სახელთა აღმნიშვნელი მდიდარი ლექსიკური მასალა.

მსოფლიოს მრავალ მკვდარსა თუ ცოცხალ ენა-დიალექტში გვხვდება ორობითი რიცხვის გადმოცემა გრამატიკული საშუალებებით, ასევე, ლექსიკურადაც, მას გამოხატავს ზმნური ფორმებიც და სახელებიც. ზოგ ენას იგი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამჟამად გამქრალია. გაქრობის მიზეზი შეიძლება იყოს ენათა შინაგანი განვითარების ტენდენციაც და ენათა კონტაქტებიც. ეს ასპექტი, ცხადია, არ გამოირიცხება ქართულის შემთხვევაშიც. ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა იმ ვითარებას, რომ ქართულს, როგორც მდიდარი მორფოლოგიის მქონე ენას, უნდა ჰქონოდა ეს გრამატიკული კატეგორია, ხოლო ამ კატეგორიის გადმოცემისთვის უძველეს ქართულში შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო სწორედ ეს სუფიქსი. -ყე ზმნურ ფორმებში არ არის არც პირისა და არც რიცხვის ნიშანი, იგი მიუთითებს სიმრავლეზე. უძველესი დროიდანვე, იმ პერიოდიდან მაინც, საიდანაც წერილობითი ძეგლებია შემონახული, ქართული ზმნის მორფოლოგია გასოცარი ენობრივი სისტემურობით ხასიათდება, პოლიპერსონალურ ზმნაში პირისა და რიცხვის ნიშნები ისტორიულად ჩამოყალიბებულ კანონზომიერებას ექვემდებარება, მისი მქონელობა და არმქონელობა ყოველთვის განმაპირობებელი საფუძვლიდან მომდინარეობს, ექვემდებარება ისტორიულ დინამიკას. ქართული ენის დიალექტურ სივრცეშიც, ცხადია, მოქმედი იქნებოდა ისტორიული დინამიკა.

ნაშრომში ვეყრდნობით ქართულ საენათმეცნიერო/დიალექტოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს და განხილულ მასალას. ვუშვებთ ვარაუდს, რომ -ყე ნაწილაკი სუფიქს-მორფემოიდია, მაგრამ არა

განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ყველა-ს ცვეთის შედეგად მიღებული (არნ.ჩიქობავა). უფრო სავარაუდოა, ორობითი რიცხვის ნიშანი -ყე შემდგომ გადააზრიანდა განსაზღვრებით ნაცვალსახელად, როცა უკვე აღარ ჰქონდა წყვილობის გამოხატვის ფუნქცია. ეს სუფიქს-მორფემოიდი ქართულში უნდა მომდინარეობდეს სხვა ფუძიდან, რომელიც აღნიშნავდა რიცხვით სახელ ორ-ს. მის მნიშვნელობას შეიცავს ქართველურ ენებსა და მის დიალექტებში დღესაც არსებული ფუძეები, ენობრივი ფორმები, რითაც გადმოცემულია ცოცხალ და არაცოცხალ არსებათა და საგანთა მრჩობლობა/წყვილობა. ეს ფუძეები და ძირები მომდინარეობენ იბერიულ-კავკასიური ენებიდანაც.

ძირითადი ნაწილი

ქრონოლოგიურად ცნობილია -ყე ნაწილაკის წერილობით ძეგლებში გამოჩენის თარიღი, VII საუკუნიდან ეს ნაწილაკი დასტურდება, ხოლო იოანე პეტრიწის ენასა და გელათის ბიბლიაში უკვე წარმოდგენილია სალიტერატურო ენაში დამკვიდრების მცდელობა. რომელ დიალექტურ არეალში ჩაისახა იგი და გავრცელების როგორი გზები განვლო, დაბეჯითებით ძნელია თქმა, მაგრამ ამ სუფიქსს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „მოხეტიალე სუფიქსი“, რადგან სხვადასხვა ფუნქციით გვხვდება აღმოსავლურ დიალექტებში, ასევე, ფერეიდნულში, ინგილოურში, დასავლურ დიალექტებში, ჩვენებურებისა და მუჰაჯირების ქართულში.

აღმოსავლურ-დასავლურ დიალექტებში გავრცელებული -ყე სუფიქს-მორფემოიდი სამწიგნობრო ენაში მხოლოდ რამდენიმე ფუნქციით გვხვდება, მათგან იოანე პეტრიწი იყენებს ხოლმეობითის ფუნქციითაც. შესაძლოა, თავისი ფუნქციებიდან სუფიქსმა ზოგი სამწიგნობრო ენაშიც განივითარა, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ პეტრიწის ენაში ის კილოური წარმომავლობისაა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „არც დიალექტები, არც სამწერლობო ძეგლები არ იძლევიან -ყე (-კე)

ნაწილაკის ამოსავალი ფუნქციის გამოკვეთის საშუალებას. საამისოდ ადრინდელი სამწერლობო მონაცემები საკმაოდ მწირია და არაერთსახა, ხოლო დიალექტების მიხედვით, ობიექტის რიცხვისა და ხოლმეობითის აღნიშვნის ფუნქციები ორივე ძირითადი ჩანს. ადრინდელი სამწერლობო ენის მონაცემთა ანალიზი ისევე, როგორც არაერთგვაროვნება ძველ გრამატიკოსთა მიერ -ყე-ს ფუნქციური დახასიათებისას, იმაზე მიგვანიშნებს, რომ -ყე (-კე ნაწილაკის) გამოყენებაში ადრევე არსებობდა კილოური განსხვავებანი“ (სურმავა, 1997,10). „ვეფხისტყაოსნის“ ენაში -ყე მიერთვის სახელსაც, მაგრამ მას თანდებული ფუნქცია არა აქვს.

გამოვთქვამთ ვარაუდს (ვრცლად იხ. ქვემოთ), რომ მასალობრივად ეს სუფიქს-მორფემოიდი მომდინარეობს რიცხვითი სახელ ორის აღმნიშვნელი მთის იბერიულ-კავკასიური ფუძეებიდან, რომლებშიც უმეტესად გვხვდება ყ/კ ბგერა ან ამ ბგერებისგან შედგენილი მარცვალი. ასეთი სახელები არის ზანურშიც, იმავე ბგერისა და მარცვლებისგან შედგება ქართველურ ენებში ტყუპობის აღმნიშვნელი ფუძეები, რომლებიც წარმომავლობით მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდან მომდინარეობენ: ტყ-უ-ბ-ი/ტყ-უ-ჭ-ი, აღ-ტყ-უ-ელ-ვ-ა... ეს უკანასკნელი ძველ ქართულში ნიშნავს ტაშის ცემას, ანუ ორივე ხელით მოქმედების შესრულებას. ამ ძირებში წინამავალი ტ განვითარებულად ითვლება, შდრ. ყ-ურ-ი < ყ-ორ-ი და მრ.სხვ.

რიცხვით სახელ ორის აღმნიშვნელ კავკასიურ ენათა ფუძეებში არის ყო, ყუ, ყუჲ, ყა და ყე მარცვლები. შესაძლოა, ქართულშიც ყოფილიყო ყორი, მას უნდა ჰქონოდა წინამორბედი იორი და იური, რადგან ი ქართულში იცვლება ჟ-დ (ჟარე-იარე) (ჯავახიშვილი, 1992, 396-397);

ასეთ სახელთა კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს გარკვეული ჯგუფის სახელებს. არნ. ჩიქობავას მიხედვით, ყ ინახება ხოფურში, ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში მას ენაცვლება ქ ან ი, ზოგჯერ ქრება (ჩიქობავა, 1936,15). სვანურში: ტყუპი - იერვი და რწყვილ; მრჩობლისთვის არის იერვი, მაგალითად, ორკეცი - იერვილკეც (ჯავახიშვილი, იქვე, 397).

ორობითი რიცხვი არ არის მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგრამ ის უნდა არსებულიყო უძველეს ქართულში ან უძველესი ქართულის დროინდელ რომელიღაც ქართულ კილოში. ამ კილოს კავშირი უნდა ჰქონოდა შემდგომი პერიოდების ძველ ქართულთან, რადგან შუა საუკუნეებში უკვე სამწერლობო ენაშიც ჩნდება.

ჯერ მოვიხმობთ მასალას და ენობრივ ვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ენაში ორობითი რიცხვის გამოხატვასთან დაკავშირებით; შემდეგ განვიხილავთ ქართულში მრჩობლი ანუ წყვილობითი რიცხვის აღმნიშვნელ სახელურ ფუძეებს, შევხებით -ყე სუფიქსის ფუნქციებს ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში ზმნის რიცხვთან დაკავშირებით.

სახელის ორობითობის გამოხატვის ენობრივი საშუალებები გვხვდება როგორც კულტურულ, ისე ეგზოტიკურ ენებში, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში გავრცელებულ ძველსა და ახალ ენებსა და დიალექტებში, მაგრამ ასეთ ენათა რიცხვი მაინც მცირეა. მისი გავრცელების თავდაპირველ არეალად მიჩნეულია აზიური ენები, ხოლო ევროპულ ენებში ძველი ინდურიდან მომდინარეობს.

ამ ენათა მასალა და მათი სისტემატიზაცია მოცემულია ვ. ფონ ჰუმბოლდტის გამოკვლევაში. ჰუმბოლდტი წერს, რომ ორობითი რიცხვი გვხვდება არცთუ მრავალ ენაში, ამ ღირსშესანიშნავი ენობრივი ფორმის არსებობა კარგად იხსენება როგორც კულტურას მოკლებული ადამიანის ბუნებრივი გრძნობით, ისე მაღალგანვითარებული ადამიანის ენობრივი ცნობიერებით; ერთი მხრივ, ის იპოვება უკულტურო ერების ენებშიც: გრენლანდიაში, ახალ ზელანდიაში (სტატიის კომენტარებში, რომელიც ვიაჩ.ვს. ივანოვს ეკუთვნის, აღნიშნულია, რომ ჰუმბოლდტი იყენებს ტერმინს „უკულტურო“, მის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინები „პრიმიტიული“ და „პირველყოფილი“, ეს არის ენები, რომელთაც ევროპული ცივილიზაციის გავლენა არ განუცდიათ (ჰუმბოლდტი, 1985, 387; კომენტ. 435). ორობითი რიცხვი გვხვდება ისეთ მაღალგანვითარებულ ენაში, როგორიცაა ძველი ბერძნული (ატიკურ დიალექტში).

ჰუმბოლდტის მიხედვით, თავდაპირველი სივრცული საზღვრები ორობითი რიცხვისა მოიცავს აზიას, ევროპასა და ჩრდ. აფრიკას. იგი უნდა არსებულიყო სემიტური ენების თავდაპირველი განლაგების არეალში, ინდოეთში; გვხვდება ენათა ოჯახში, რომლის წარმომადგენლები მოსახლეობენ მაღაკის ნახევარკუნძულზე, ფილიპინებზე, სამხრეთ ზღვის კუნძულებზე; სემიტური ენებიდან ორობითი რიცხვი ახასიათებს არაბულს, მისი კვალი გვხვდება არამეულ ენაში, ის განეკუთვნება საერთო სემიტურს და თანხვდება ინდოევროპულს. ასეთი ენობრივი ფორმები გვხვდება დასავლურნოსტრატულ ენებში. არაბულიდან მან შეაღწია ჩრდილოეთ აფრიკის ენებში, ხოლო ევროპაში გავრცელდა მალტამდე; მრავალი არაბული სიტყვა შევიდა თურქულშიც. ჰუმბოლდტი სანსკრიტში გულისხმობდა პრაინდოევროპულ ენას. ამ ენაში ორობითი რიცხვი აღდგენილია წყვილ საგანთა სახელებად. ინდოევროპულ ძველ ენებში, როგორიცაა ხეთური და ძველი ანატოლიური ენები, ორობითი რიცხვი დაიკარგა, მაგრამ მას აღადგენენ შემონახული ფორმებით: sakuwa „თვალი“, მომდინარეობს ინდოევროპ. sokwo „ორი თვალი“, ენათესავება ხეთურ sakuwai-ის „ხედვა“, გერმ. sehen, ინგლის. to see.

პალის ენაში შევიდა სანსკრიტიდან (პრაენიდან), მაგრამ დაიკარგა, პრაინდოევროპულიდან გავრცელდა ბერძნულში, გერმანულში, სლავურში, ლიტვურში, თითოეულში თავისებური მოცულობით.

ევროპული ენებიდან ორობითი რიცხვი არის ლაპლანდიურში, ანუ საამის ენაში, შემონახულია მხოლოდ ნაცვალსახელებსა და ზმნურ ფორმებში, ასევე, დასავლურ დიალექტებში. აქედან ვრცელდება ობსკურ-უგორულსა და ფინურ-უგორულში, ასევე, საერთოურალურში, საერთოდ, უგორულ ენებში, მაგალითად, უნგრულში (ჰუმბოლდტი, 1985, 388, კომენტ. გვ. 435).

ბევრ მკვდარ ენაში, რომელთაც ლიტერატურა აქვთ, ორობითი გადაშენებული ჩანს.

ძველ სომხურში ანუ გრაბარში ორობითი რიცხვი არ არის. თვით ფაქტი, რომ ზემო და ქვემო ეგვიპტის დასახელებაში ვარაუდობენ ორობითი რიცხვის არსებობას,

შესაძლოა ამ ტიპის ტოპონიმებზეც გავრცელდეს, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ენათა მიხედვით, ისე ქართველურ ტოპონიმიაში, განსაკუთრებით ქართულ ტოპონიმიაში. **ზემო** და **ქვემო** კომპონენტები გამოხატულია ზმნისართებით, მაგრამ მათ ატრიბუტივის მნიშვნელობა აქვთ. ასეთ ტოპონიმებს ასახელებენ თავიანთი უზმნისართო სახელით, მაგალითად, იმერეთი, მაგრამ სახელწოდების დასახელებისას ყოველთვის ივარაუდება მისი ორი ნაწილი.

აზიპონის ენაში გაფართოებული მრავლობითი რიცხვი გამოიხატება **ripi** სუფიქსით, ხოლო ორობითი რიცხვი – **lek** სუფიქსით. როგორც ჰუმბოლდტი აღნიშნავს, ორობითი რიცხვი არის როგორც ხილულის, ისე უხილავის სფეროში. ის დაკავშირებულია ადამიანის ენობრივ აზროვნებასთან (ჰუმბოლდტი, 1985, 398).

ჰუმბოლდტს დიალოგიც მიაჩნია დუალობის გამოვლენად, რადგან მასში უცილოდ ორი პირი მონაწილეობს და შედგება მიმართვისა და პასუხისგან. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთი დუალობა ქართველურ ენებში გამოხატულია **სიტყვის** თავდაპირველი მნიშვნელობით: **სიტყვა** ნიშნავდა გაბმულად საუბარს, რომელიც შეიცავს მიმართვასა და პასუხს, ხოლო **უბნობა** – საჯაროდ მეტყველებას. ნებისმიერ ენაში დღისა და ღამის მონაცვლეობა დუალობის მაგალითია, ასევეა დღისა და ღამის მნათობთა შემთხვევაშიც. უნგრულში დასტურდება ცალხელა ადამიანი ანუ ხელების ნახევარი, ერთი ხელი, გერმანულში Die Elfter ნიშნავს მშობელთაგან ერთ-ერთს. დუალობა გამოხატულია ბასკურში, ბურუშასკი ენაში.

ნაცვალსახელებით ორობითი რიცხვი გამოხატულია აზიურ ენებში, ფილიპინებისა და სამხრეთის ზღვის ენებში, ჩაიმის ენასა და ტამანსკის ენაში. ენები, რომელთა სახელებსაც შეუძლიათ ორობითობის გამოხატვა, არის: ტოტონაკური ენა, კეჩუა ენა, ხოლო ენები, რომლებშიც ის გამოხატულია ენათა მრავალი საშუალებით, განეკუთვნება პრაინდოევროპულს, სემიტურს, გრენლანდიურს, არაუკანურ, ლაპლანდიურ ენებს (ჰუმბოლდტი, 1985, 393).

ჰუმბოლდტის დროს ქართველურ ენათა მასალა არ იყო გამოვლენილი. დავასახელებთ არაბული ენის მაგალითს აკაკი შანიძის

გამოკვლევიდან: რაჯულ-უნ „კაცი, რაჯულ-აან-ი – კაცები, კაცი, იგულისხმება მხოლოდ ორი კაცი, რაჯალ-უნ, კაცები, კაცი, იგულისხმება ორზე მეტი კაცი (შანიძე, 1981, 519).

ქართულში ორობით რიცხვს პირველად ყურადღება მიაქცია ა. შანიძემ (საკითხის შესახებ ხევსურულში/ქართულში არსებობს მ.როგავასა და თ.მეტრეველის, დ.ჩხუბიანიშვილის ნაშრომები). ა.შანიძის მიხედვით, ორობითი რიცხვი ქართულში არ არის, მაგრამ ის უნდა იყოს ხევსურულში: გამარჯობა, ოჟნო! – ითქმის ორი ვაჟის მიმართ, ხოლო გამარჯობათ, ოჟებო! – ნიშნავს ორზე მეტის მიმართ. გასული საუკუნის ოციან წლებში ა. შანიძე წერდა: ხევსურული დღესაც არჩევს წყვილობითის ფორმებს მხოლოდობითისა მრავლობითისაგან, მაგრამ ეს გარჩევა მხოლოდ სახელებშია და ისიც მეტად ბუნდოვანია. წყვილობითის დაბოლოებებია **-ნი**, **-ნო** და **-თა**. მაგალითად, **ხელნი** (ორი ხელი, წყვილობითი, ხელები – მრავალი ხელი), **ლაშნი** (ბაგეები, ტუჩები, პირი), **რას ლაშთ ირთხამ** = რა პირს ალებ, ეტყვიან ერთ კაცს, ხოლო **რა ლაშებს ირთხამთ**, მრავალთ. მაგრამ ამ მაგალითებში გამოხატული ორობითობა მაშინვე გადავარდნის გზაზე ყოფილა, ხოლო ზემომოყვანილი მისაღმების მაგალითებში, ასევე, ხელ „**მოგიმართას(თ) (უ)ოჟნო**“, ითქმის ორ ვაჟზე. ფშაურსა და ხევსურულშია: მშვილდ-ისარნი (ცისარტყელა), სასწორ-ჩარეჟანი, ეტლის სახელია ცაზე; ყდანი (საქსოვი იარაღი, რომელსაც გვერდზე ორი ლატანი, ორი ყდა აქვს), ყალნი (ერთგვარი ციგა, რომელსაც ქვეშ მარხილის ღუასავით ორი ფეხი, ანუ ორი ყალი აქვს გადებული), „ხურჯინან აგებ მამცნა“, ერთი, ორი ხურჯინი მომცე, „ხურჯინები“ უკვე მრავლობითია. რქანი, ერთი საქონლისა და სხვ. **ეტრატაი** ერთი ქაღალდის სახელია, **ატრატინი** ნიშნავს ორ ქაღალდს. მისივე შენიშვნით, 1960 წელს გამოვიდა ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურულის თავისებურებანი“, სადაც ნახსენები არ არის ეს გრამატიკული ფორმები. ამ საკითხის შესახებ ა. შანიძეს მოხსენება წაუკითხავს 1967 წელს (შანიძე, 1981, 519-521); მასში არ ახსენებს ვ. თოფურიას შენიშვნას (თოფურია, 1979, 140), რომ დიალექტებში **-ნ**-ს სიცოცხლე შერჩა მთის

კილოებში (განსაკუთრებით ხევსურულში). მის მიერ მრჩობლობის გამოხატვა, თუ ნამდვილად არის ასეთი რამ, უთუოდ მეორეული მოვლენააო.

ჩვენი აზრითაც, -ნ სუფიქსის გამოყენება მეორეული მოვლენაა. საერთოდ. ხევსურულში ის მომდინარეობს ძველი ქართულიდან, არქაული ქართველური ენების კავშირებს თუ გავითვალისწინებთ, გავანალიზებთ ქართულსა და კავკასიურ ენებში რიცხვითი სახელ ორ-ის გამოხატვის საშუალებებს, ხევსურული გამონაკლისია, მასში ორობითი რიცხვი ნიშნითაა გამოხატული, რაც დამახასიათებელი არ არის არც კავკასიური და არც ქართველური ენებისთვის, თუ კლას-კატეგორიის ნიშანი არ არის.

მთის კავკასიური ენების რიცხვითი სახელის ენობრივი მასალა დამუშავებულია ივანე ჯავახიშვილის ეპოქალურ ნაშრომში „ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი აგებულება და ნათესაობა“ (1937). მთის კავკასიურ ენებში ორობითი რიცხვითი სახელის ფაქტები არ იპოვება, თუმცა რიცხვითი სახელ **ორის** აღმნიშვნელობაში ბგერობრივად მსგავსი თანხმოვანი ან თანხმოვნისა და ხმოვნისგან შედგენილი მარცვალი გვხვდება, მაგრამ სახელის ორობითობის გამომხატველად ისინი მიჩნეული არ არის. ჰუმბოლდტის აზრით, ეს ვითარება ენათა განვითარებულობის ნიშანი არ არის (ჰუმბოლდტი, 1985, 393). ქართველურ ენებსა და დიალექტებში ამ სახის ლექსიკურ ერთეულთა ანალიზი მოცემულია არაქართველ ქართველოლოგთა ნაშრომებშიც.

ქართველურ ენებსა და მის დიალექტებში ასეთი მასალა საკმაოდ ბევრია. ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ქართველურ ენებსა და მის დიალექტებში ტყუპობის, მრჩობლობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ არქაულ სამიწათმოქმედო, სამეურნეო და ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სახელებში მოცემულ ენობრივ ვითარებაში.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ასეთ სახელთა კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს გარკვეული ჯგუფის სახელებს: „ასეთი სიტყვების მოძებნა, რომელთაც

თავიანთი ძველისძველი აგებულება შესაძლებელია დაცული ჰქონდეთ, როგორც უკვე ვიცით, პირველყოფილი მეურნეობისა და მსოფლმხედველობის არეში სჯობია, მესაქონლეობაში, სხეულის იმ ნაწილების სახელებშიც, რომელნიც ადამიანს წყვილად აქვს, მართლაც, ქართულ სამწერლობო ენაში დაცული ორიოდე ასეთი ტერმინი გვაფიქრებინებს, რომ ქართულშიაც ოდესღაც **ორ-ს ო-ს** წინ ჰქონია ბგერა და ასეთ თავკიდურ ბგერად ყ ყოფილა“ (ჯავახიშვილი, 1990, 394).

სამეურნეო ლექსიკიდან მეცნიერს დასახელებული აქვს **ყევარი**, ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია. სულხან-საბას განმარტებით, „**ყევარი** ორულლეულნი ხარნი“-ა (ორბელიანი, 1966, 264). ამ სახელში დაკარგულია ხარისა და უღლის გამომხატველი სიტყვები, მაგრამ, ტერმინში რომ ორობითი რიცხვის გამოხატვაა, ამას ამტკიცებს **საყევარი**, რომელსაც სულხან-საბა განმარტავს, როგორც „მარხილის ხელნებს“ (ორბელიანი, 1966, 65). ივანე ჯავახიშვილის აზრით, ორულლეული არ მოდის იქიდან, რომ მარხილში ორი უღელი ხარი შეიძლებოდა შებმულიყო, მარხილში მხოლოდ ერთი ხარი იბმება, მაგრამ მარხილს აქვს წყვილი **ხელნები** და **საყევარი** აღნიშნავს სწორედ ამ წყვილობას.

ჩვენი აზრით, **ყავარიც** დაკავშირებულია სახელთა ორობითობასთან, ეს უნდა იყოს მოცემული მისი „გამოხდის“ სპეციფიკაში. ყავარის გამოხდის საქმიანობა იწყება ხის შერჩევით, რომელსაც ორად აპოხენ. თუ ხე სწორად არ გაიპო ორად, ის ხე ყავარისთვის არ ვარგა. მოვიხმობთ მუჰაჯირი ქართველის ნაამბობს: „ყავარსა სოჭიდან გავხდით, ნაძვი აქ არ არი. ბოლუსკენ არი ნაძვი. ბოლუ ადგილსა ქვია. სოჭის ხესა სანაფოტეს ავართვამ, ხელისსიფართვეს. იმას ცულის პირითა შუაზე გავარიგებ. თუ სტორეთ არ გასკდა, დახვევლი გასკდა, იმას დავტევ. ეს ხე ბრუდეა, ყავარი არ გეიხდებაო, ვიტყვით“ (შ.ფუტყარაძე, 1993, 22). ჩანს, რომ მუჰაჯირები გადასახლებამდეც ხდიდნენ ყავარს, ნაძვისგან.

ქეგლ-ში (ქეგლი, 1986) მითითებულია, რომ **ყავარი** თურქულია, მაგრამ, შესაძლოა, ეს სიტყვა ქართველური ძირიდან წარმოშობილად ჩავთვალოთ: ქართ.

ვ-ყავ, ყ-ო, ვ-ი-ყ-ოფ-ი, გან-ყ-ო, შე-ყ-ო, ყვ-ელ-ი, ი-ყ-უ „მოხდა“, შდრ. დიალექტებში „ყავარის გამოხდა“ არის ხის ჯერ ორად გაპობა, შემდეგ აჭრა, ატკეჩვა, მამასადამე, მთელისაგან ნაწილის გამოყოფა. ამდენად, შესაძლოა, თურქულში ქართულიდან იყოს შესული, და არა პირიქით. თანაც თურქეთში ტყეებიც მცირე რაოდენობითაა.

ურმეული ძნის სახელების განხილვისას ი. ჯავახიშვილი განიხილავს ტერმინს **ყუნცული**. მასში არის **ცალის** აღმნიშვნელი **ცული**, ხოლო **ყუნ-** კომპონენტი, ი. ჯავახიშვილის აზრით, **ორის** აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი, 1990, 395).

იმერულსა და დასავლურ სხვა დიალექტებში **დაყუნცულ-ი** ითქმის კატის, ძაღლის, კურდღლის უკანა ორ ფეხზე ჯდომას, მასში უცილოდ ორის მნიშვნელობაა მოცემული. **დაყუცება**, **დაყუცებული** ითქმის ბავშვზე, ჩაცმულ ადამიანზე. ქვემოიმერული ეს სიტყვა არ არის შეტანილი დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში. ქართ. ***ყუც-/ყუნც-** (<***ყუც-**) ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. **ყუც-** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000).

ქართველურ ენებში ადამიანის სხეულის იმ ნაწილების გამოსახატავად, რომლებიც წყვილადაა, მოცემულია ორის მნიშვნელობა, მაგალითად, **ყურ-ი**. ეს სახელი თავდაპირველად მხოლოდ ყურის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ის თვალეზსაც აღნიშნავდა, ამას ადასტურებს ზმნა **ყურ-ებ-ა**, რაც ნიშნავს თვალის დევნებას, მზერას. ამასთანავე, ი. ჯავახიშვილი იმოწმებს ნ. მარის **კურცხალ-** თან დაკავშირებულ მოსაზრებასაც: **კურ-** ამ სიტყვაში და **ყურ-(ებ-ა)-**ში ნამდვილად თვალის სახელია, მაგრამ ეს სიტყვა სასმენელი ორგანოს **ყურ-**ის სახელთან არ არის დაკავშირებული, თუმცა მას არ აქვს მოცემული, რასთან უნდა ყოფილიყო კავშირში. ნ. მარსავე მოხმობილი აქვს მონაცემები გურული და იმერული დიალექტებიდან, რომლებშიც ცრემლს აღნიშნავს **კურცხალ-ი**. რ. ერისთავს გამოუცია სულხან-საბას ლექსიკონის ის რედაქცია, რომელშიც მოცემულია **კურცხალ-**ის განმარტება: „კურცხლი, კუნცხი, მწარე ცრემლი“ (იხ. ჯავახიშვილი, 1990, 395). ცრემლიც

ადამიანს ორივე თვალიდან ჩამოსდის. ქართულ სალიტერატურო ენაში არის მო-
კურცხვლ-ა, მოკურცხლა მან, სწრაფად გაიქცა, აქცენტი გადატანილია ფეხების სწრაფ
მოძრაობაზე. **კურცხ**- ძირი შესაძლოა არა მხოლოდ წყვილ ცრემლთან იყოს
დაკავშირებული, არამედ წყვილ ფეხთანაც.

ქართველურ ენებში, ზანურსა და სვანურში, ორის აღმნიშვნელობაში, ერთი
მხრივ, გვაქვს **ოორი**, მეორე მხრივ, **ყ-ორი**. ირკვევა, რომ ყ-ს იოტად-ად
შენაცვლება ფონეტიკურად მეგრულსა და ჭანურში დოკუმენტურად საბუთდება.

ძველ ქართულში მრჩობლი „ტყუპი“, მარჩბივი – „ერთი ორთაგანი“, ადამიანი,
ტყუპი, დიალექტებსა და სალიტერატურო ქართულში არის ტყუპის ცალი. **ცალი**,
როგორც უკვე ვნახეთ, ნიშნავს **ნახევარს**. არნ. ჩიქობავა წერდა: პირველში **-ლ-**
სუფიქსი გვაქვს (**-ლ- < -ალ-**), მეორეში – **-ივ**, უფრო ძველია მეორე, **-ივ-** სუფიქსიანი
წარმოება.

საბას ჩვენებით, „მარჩბივი – ტყუპი ცხოველი“, **ტყუპის** განმარტებისას საბა
წერს: „უკუეთუ იყვნენ ყრმა ორნი მუცელსა შინა, ეწოდების მარჩბივი; ხოლო
პირუტყუთა ორთა ანუ ხულთა და მისთანათა ორთა ერთსა ბუდესა შინა ეწოდების
ტყუპი, ხოლო ხილთა და ხმილთა ორთა, შეერთებულთა, ეწოდების ტყუჭი“
(ორბელიანი, 1966, 150).

როგორც შემდგომ არნ. ჩიქობავა წერს, ერთ ვარიანტში საბას მითითებული
აქვს, რომ „**მარჩბივი** ეწოდება კაცს, ცხენს, და მისთანა“- ს, ორს ნიშნავსო, ხილი ანუ
ნაყოფი შეერთებული, **ტყუჭია**, ხოლო ორნი ერთსა ბუდესა შინა **ტყუბად** ითქმიანო“
(ჩიქობავა, 1942, 152). აქედან ჩანს, რომ **მარჩბივის** განმარტებას ერთგვარი რყევა
ეტყობა: პირველ შემთხვევაში ის ტყუპ ადამიანს აღნიშნავს, მეორეში – **ტყუპ**
ადამიანზეც ითქმის და ცხოველზეც. ამჟამად სალიტერატურო ქართულმა **მარჩბივისა**
და **ტყუპის** ასეთი გარჩევა არ იცის. საბასთვის **მარჩბივის** მნიშვნელობა, არა ჩანს, რომ
ნათელი ყოფილიყო. ეს სავსებით ბუნებრივია: უკვე მეათე საუკუნეში საჭიროდ
მიუჩნევიათ **მარჩბივი** განმარტათ. იოანე ბოლნელის ქადაგებაში მოცემულია
ამ სიტყვის მნიშვნელობის ახსნა. საყოველთაოდ მიღებული, გასაგები სიტყვა რომ

ყოფილიყო მარჩბივი, იოანეს არ მოუხდებოდა მისი ახსნა. მასთან **მარჩბივი** ნიშნავს „ერთს ორთაგანს“, მის სინონიმად იოანე **ტყუბს** მიიჩნევს (ჩიქობავა, 1942, 152).

არნ. ჩიქობავას აზრით, **მარჩბივი** თავდაპირველად ტყუპ ადამიანზე ითქმოდა; ბუნებრივია, თუ მას მ- პრეფიქსი დაერთვოდა. ასეთი გაგება უკვე მეათე საუკუნის ბოლოსთვის ამ სიტყვას არ ჰქონია და თუ საბა მაინც ცდილობს მისი მნიშვნელობა ადამიანს დაუკავშიროს, ეს ისტორიული სემასიოლოგიის ხაზით ივარაუდება. **მრჩობლი** ატრიბუტივია; აქ მ- ისევეა გამართლებული, როგორც მაგალითებში **მსოფლიო**, **მდიდარი**, **მთავარი**, როცა ეს სიტყვები ატრიბუტული მნიშვნელობით გამოიყენება. **მარჩბივისა** და **მრჩობლის** ანალიზისა და მნიშვნელობის შესახებ ის მიუთითებს ი. ჯავახიშვილის ნაშრომს „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937).

ი. ჯავახიშვილს მოხმობილი აქვს ნ. მარის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **მრჩობლი** და **მარჩბივი** პირველად **რკობ** ფუძისაგან არის წარმომდგარი და რ-ს თ-დ შენაცვლების გზით **ტყუბ**-იც აქედანვე უნდა იყოს (ჯავახიშვილი, 1990, 397). როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, **მარჩბივი** დედის საშვილოსნოში მყოფი ორი ყრმის, ე.ი. მაშინდელი გაგებით მამრ. სქესის ბავშვის აღმნიშვნელი იყო, მეორე რედაქციით, მარტო „ორი ყრმისა“ კი არა, არამედ ორი ცხოველის, ადამიანის შვილი იქნებოდა ის, თუ პირუტყვი, მაგალითად, ცხენი. ამ ორი განმარტების განსხვავების მთავარ დებულებას ის მოძღვრება შეადგენს, რომ პირველით **მარჩბივი** მხოლოდ გონიერი არსების, ადამიანის წყვილის სახელია, მეორით კი, საერთოდ, ყოველივე ცხოველის, მათ შორის, არაგონიერისაც, ე.ი. გონიერ და არაგონიერ არსებათა განსხვავება აქ უარყოფილია. ამნაირადვე **ტყუბ**-ის განმარტებაც სხვადასხვანაირია: პირველი რედაქციით **ტყუბი** ერთი დედის ბუდეში მყოფი ორი პირუტყვისა და ხულის ანუ ნაჭუჭებიანი ხილის (კაკლის, წაბლის, ფუსტულის და სხვ.) სახელი იყო, მეორე განმარტებით კი, **ტყუბი** ზოგადი სახელი იყო და მარტო ერთ ბუდეში ორის მდებარეობის გამომხატველი, იმისდა მიუხედავად, ადამიანის შვილზე, პირუტყვზე, თუ ხეხილის ნაყოფზე იყო საუბარი. **ტყუჭის** მიმართ ასეთი სადავო არაფერია.

მამასადამე, სულხან-საბა ორბელიანის დროს უკვე ამ სახელთა მნიშვნელობა სათუო ყოფილა. ამ სახელებში -**ჭი** განეკუთვნება უსულო საგანთა აღმნიშვნელ ფორმანტს. **ტყუ-ბი** იმავე ძირს შეიცავს, ხოლო **ბი** მესამე კლას-კატეგორიის გამომხატველია, რახან ადამიანის ტყუპობას აღნიშნავს. უსულო საგნების კლას-კატეგორიას გამომხატავს **დ** და **რ**. ქართველურ ენებში ცნობილია **რ-ს დ-დ** შენაცვლება, მაგალითად: **ტრე-დ-ი/ტორონ-ჯ-ი, ხი-დ-ი/ხ-ი-ნ-ჯ-ი, ხარ-ი/ხო-ჯ-ი, ისა-რ-ი/ისი-ჯი**.

შემდგომ განხილულია **მრჩობლ-ი-ს** მნიშვნელობა **მარჩბივ**-თან მიმართებით. **მრჩობლი** ორს, ანდა ორკეცსა ნიშნავს, შდრ. **ჩუდ-კეც-ი** (იხ. ქვ. სადაც **ჩუდ** ორს ნიშნავს). **მრჩობ-** და **მარჩბ-** ძირების შეპირისპირებით ირკვევა, რომ მათი განმასხვავებელი **ვი** და **ლი** ფორმანტებია. **მარჩბივი** მამრობითი სქესის ყრმათა ტყუპობას გამომხატავდა, ხოლო **ტყუბი** ტყუპი პირუტყვის და **ტყუჭი** – უსულო ნაყოფს.

ჩუდკეცის შესახებ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საბას მიხედვით ის ტანსაცმლის აღმნიშვნელი და ცალკეული ტერმინი კი არ არის, არამედ ზედსართავია და ნიშნავს ორნაკეციან მოსასხამს, რახან **კეცი** ნიშნავს ნაკეცს (ჯავახიშვილი, 1990, 390-392).

ივანე ჯავახიშვილს განხილული აქვს სამი ძველქართული ზმნა: **ტყუელვა**, **შეტყუელვა** და **აღტყუელვა**. „ტყუელვა ხელთა ხელზედა მიდება, გინა ტაში“, ი. ჯავახიშვილი უფრო აზუსტებს განმარტებას: ორივე ხელის ერთმანეთზე დაკვრას აღნიშნავსო. საბა და დ. ჩუბინაშვილი სიტყვის **შეტყუელვა** განმარტებისას წყაროს არ ასახელებენ. **აღტყუელვა** გვხვდება 46-ე ფსალმუნში: „ყოველთა წარმართთა აღიტყუელენით ხელნი თქუენნი“, ნიშნავს ორივე ზეაწეულ ხელს. მამასადამე, **ტყუელვა**, **შეტყუელვა** და **აღტყუელვა** დაკავშირებულია ორის მნიშვნელობასთან, მისგანვე მომდინარეობს **წყვილი**, ი. ჯავახიშვილი ფონეტიკური სახეცვლილების საფუძველზე ადგენს მათ ურთიერთმიმართებას, თავის მხრივ, **წყვილი** მომდინარეობს **ტყვილ-ის-გან**.

სიტყვა ძველ ქართულში ნიშნავდა გაბმულ საუბარს, მისგან განსხვავდება **უბნობა**, რომელიც საჯაროდ საუბრის მნიშვნელობას გამოხატავდა, ხოლო სიტყვა მხოლოდ ორ ადამიანს შორის საუბარს, დიალოგს (ჯავახიშვილი, 1990, 401-403).

ტყუ-რ- ფუძეს უნდა შეიცავდეს ქართ. **ტყუ-ილ-ი**, მა-**ტყუ-არ-ა**, მეგრ. **ტყურ-** აფა; მა-**ტყუ-რ-ანჯ-ე** (ქაჯაია, 2001). მეგრული -**ანჯ** (/ -ენჯ/-ოჯ) შეესაბამება ქართულ -**არ** სუფიქსს. შდრ. მეგრ. **ტყურ-ა**. **ტყურ-ში** რ **ტყუჯ-/ტყუბ-** ფორმათა წინა სახეობის **ტყუ-რ-**ის ნაწილი უნდა იყოს. **ტყუ-ილ-ი**ც თქმულის ორმაგობაა: იგი არ არის სიმართლე, ანუ არის სიმართლის საწინააღდეგო, ანუ ტყუილში სიმართლისა და არასიმართლის ტყუპობაა, შდრ. რუსთაველი: „ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად“, „ჭრელად“ პოემის გამომცემელს ნ.ნათაძეს ასე აქვს ახსნილი: „ემშაკურად, თვალთმაქცობით“ (შოთა რუსთაველი, 2005). ემშაკურად, თვალთმაქცობით ნათქვამიც არის ტყუილი ანუ აქაც **ტყუ-** ძირი დაკავშირებულია ზემოგანხილულ ფუძეთა სემანტიკასთან.

ორ-ი რიცხვითი სახელის შემცველად მიაჩნია ივანე ჯავახიშვილს **ნა-ხევ-არ-ი**, ის ისევეა ნაწარმოები, როგორც **ნასამალი**, **ნაოთხალი**. **ნა-არ** დეტერმინანტი აფიქსია. **ყევ-არ-ში** **ყევ-** და **ხევ-** მას ერთნაირი მნიშვნელობისად მიაჩნია **ყ – ხ** შენაცვლებით (იქვე).

მაშასადამე, ქართველურ ენებში დაცულია მდიდარი ენობრივი მასალა. ისინი უნდა გვქონოდა თუ არქაულ ქართულში არა, დიფერენციაციის პერიოდსა და შემდგომ პერიოდებში. კავკასიურ ენათაგან ორობის გამომხატველი სიტყვები არის აფხაზურში, თუმცა მათ შესახებ არაფერს ამბობს არც ივანე ჯავახიშვილი და არც არნოლდ ჩიქობავა. ცნობა აღებული გვაქვს ჰუმბოლდტის ზემოდასახელებული სტატიის კომენტარებიდან. ქართულში **ნახევარი** თანამედროვე სასაუბრო ენაში გამოიყენება ქმრისა ცოლისა და ცოლისა ქმრისა მიმართ.

რუსულში **ნახევრის** ეტიმოლოგია დაკავშირებულია სიტყვასთან пол „ნახევარი“, მომდინარეობს ინდოევროპულიდან და შემდგომი პერიოდის ნოსტრატული ენებიდან: უნგრული **fel**, ფინური **puoli**, რაც აღნიშნავდა ტომთა

დასახლებების დუალობას, ქორწინება დასაშვები იყო მხოლოდ დასახლების სხვადასხვა ნახევართა შორის (ჰუმბოლდტი, 1985, 438); აქვე დავსძენთ, რომ ასეთი დასახლებები განლაგებული იყო უმეტესად მდინარეთა ნაპირებზე, ჰქონდა თავის ტვინის ორი ნახევარფეროს მოყვანილობა და სიმეტრიულად იყო განლაგებული (ივანოვი, 1978, 100).

საინტერესოა ამ ტიპის სახელთა შესახებ მონაცემები ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან: ქართ. ***ტყუბ-** **ტყუბ-ნ-**ი „ტყუპები“, მეგრ. **ტყუბ-/ტკუბ-**, **ტყუბ-ი/ტკუბ-ი** „ტყუპები“, ლაზ. **ტყუბ-/ტკუბ-/ტუბ-** **ტყუბ-ი/ტკუბ-ი/ტუბ-ი** „ტყუპები“, სვან. **ტყუბ-/ტყუიბ-** „ტყუპები“, ნა-ტყუ-ბარ.

ქართ. **ტყუბ** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ტყუბ-/ტკუბ-**, ლაზური **ტყუბ-** (ტყ->ტკ-, ტყ->ტ პროცესის შესახებ იხ. ჩიქობავა, 1936, 17). საერთოქართველური ფუძეენის დონეზე გ. კლიმოვი აღადგენს **ტყუბ-** არქეტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000).

ქვ.იმერ.-გურ. **ტყუაპუნი//ტყაპუნი//ტყვაპენ-**ისა და მეგრ. **ტყვაპინ-**ის ამოსავალი შეიცავს ორის, ტყუპის მნიშვნელობას – შეტყუებული ფეხებით სიარულს ან ხტომას, შდრ. მეგრული ფრაზეოლოგიზმის „ტკუტკუბურო სხაპუა“-ს ვ.შენგელიასეული ეტიმოლოგია: „სიტყვა **ტკუტკუბურო** მეგრულში გვხვდება მხოლოდ გარკვეულ შესიტყვებებში: **ტკუტკუბურო სხაპუა** „ფეხებშეტყუებით გადახტომა“ (ასეთ ხტომაში ეჯიბრებიან ხოლმე ერთმანეთს ბავშვები), **ტკუტკუბურო ქიმიოგ კვარტი ცხენქ** „ორივე ფეხით (ერთად) დაარტყა ცხენმა წიხლი“. მეგრული **ტკუტკუბურო** კომპოზიტი უნდა იყოს, რედუპლიკაციის შედეგად მიღებული: ***ტკუბ-ტკუბ-ურ-ო>ტკუტკუბურო** (მოსალოდნელი ბტკ კომპლექსი გამარტივებულია ბ-ს დაკარგვით). მეგრული ტკუბი//ტყუბი//ტყუპი „ტყუპი“ საერთო-ქართველურიდან მომდინარე სახელია (სათანადო მატერიალური პარალელებით მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში); -ურ თვისების აღმნიშვნელი სუფიქსია, -ო S ვითარებითი ბრუნვის მაწარმოებელი ფორმანტი (მაშასადამე, **ტკუტკუბურო ზედმიწ.** „ტყუბტყუპურად“) (შენგელია, 1999, 178).

ხმაბაძვითობაც არ არის სემანტიკისგან შორს, მაგრამ მისი გადატანითი მნიშვნელობები ქვემოიმერულში გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ხმაბაძვითობა სიტყვათა მეორეული მნიშვნელობაა, დიალექტებში შეძენილი.

ქართული დიალექტების მონაცემები ასეთია: **ტყრუშული ღობე** (ქიზიყ.) წნული ღობე (ს. მენტეშაშვ.), მსხვილი წნელის ღობე (საბა, დ. ჩუბ. ქეგლ), ბგერათა გადასმით, ამოსავალია ***ტყურშული**; ჩვენი აზრით, ღობის ამ სახელწოდებაში გამოიყოფა **ტყუბ**-ის მნიშვნელობა: **ტყ-უ-რ-**, ძირია **ტყ-**, **-უ-რ-** ფონეტიკური სახეცვლილებით იგივე **ტყუ-დ-<ტყუ-ჯ-ი-**დან მომდინარეა. **ტყრუშული ღობე** ორმაგად იწვნება, ორივე მხრიდან, სახელწოდებაშიც ეს არის ასახული. მისი ფონეტიკური ვარიანტია **ტყლუსური** (ქიზიყ.), **რ/ლ** და **შ/ს** ფონეტიკური პროცესით.

ი. ჯავახიშვილი იმოწმებს სულხან-საბას განმარტებებს, რომ ხილისა და ხულის სახელებში გვაქვს **ტყუბი** და **ტყუჭი**, ორი ან ორზე მეტი ერთმანეთს შეზრდილი ნაყოფი ვაშლისა, კაკლისა, თხილისა და ა.შ. (ს. მენტ.), ტყუბი ხილისა, წყვილი (საბა, დ. ჩუბ. ქეგლ-ი), ხოლო **ტყუჯალა-ი** (აჭარ.), **ბოჯახი** (გურ.), ერთად აზრდილი რამდენიმე ტოტი ხეზე (ა. ლლ.), **ბოჯღალი** (ზ. რაჭ.) ორტოტა ხე, ჯოხი, ლეჩხ. **ორტოლო** ქლიავის ჯიშია, მსხვილი ქლიავი, მის სახელწოდებაში შესაძლოა **ტყუბის** მნიშვნელობა ჩანდეს.

საბას ლექსიკონში განმარტებულია **ყეჯალი** - „ესე არს სწორედ ტყუბსავით ორკაპი ჯოხი“ (ორბელიანი, 1966, 264). მისი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობები არსებობს არა მხოლოდ ქართველურ, არამედ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, თუმცა მათში ფუძისეულად არ აღდგება **ტკ-**, **ტყ-**, **ტყუ-** ძირები (ჩუხუა, 2004, 82). სავარაუდოა, რომ თავკიდური **ყე** სწორედ რომელიღაც მთის კავკასიური ენიდან მომდინარეობს და შეიცავს ორ-ის მნიშვნელობას, ხოლო **ჯ-ალ** მეგრული **ჯა**-აა „ხე, ძელი“, **-ალ** სუფიქსიანი სახეობა ძველისძველია. სემანტიკური შესატყვისობაა: **ყე-ჯალ-ი** : **ორ-კაპ-ი**; **-კაპ** გამოიყოფა **ნი-კაპ-ში** (არნ.ჩიქობავა).

ქვემოიშვით. **ტყუაპალა, ტყევი**, შესაძლოა, ხმაბაძვითი იყოს, მაგრამ არსებობს ორგულა კვერცხი, რომელიც ლაყდება, რადგან განსხვავებით სხვა ცოცხალ არსებათაგან, ქათმის ორგულა კვერცხიდან წიწილა არ იჩეკება.

მაშასადამე, ქართველურ ენებსა და დიალექტებში მოცემულია ძალზე ძველი ლექსიკური ფონდის სიტყვები. ადამიანის სხეულთან და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკა, საერთოდ, ენებში უძველესი ფორმაციებიდან მომდინარეობს. როგორც აღმოჩნდა, ქართველური ენები, როგორც მსოფლიოს ენათა შორის ერთ-ერთი უძველესი ენა, ამ მხრივაც საყურადღებო მასალას შეიცავს.

აქვე შევხებით **-ყე** ნაწილაკად წოდებული ფორმანტის ეტიმოლოგიას: იგი **ყველა** განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ცვეთის შედეგადაა მიჩნეული (არნ. ჩიქობავა). სახელებში თანდებულის ფუნქციით **-წყენ** (**-წყ** კომპლექსი) ამოსავალია **-კენ** (**-სკ** კომპლექსი) თანდებულისთვის, **-სყენ > სკენ: ტყისყენ > ტყისკენ/ტყიწყენ, -სყ > -წყ** (მიძიგური 1954, 152-153). მაშასადამე, **-კენ** თანდებულის წარმოქმნის მესამე წყაროც არსებულა.

ჩვენი აზრით, არ ჩანს **ყველა** ნაცვალსახელის ცვეთის კანონზომიერება. როგორ დარჩა მხოლოდ ერთი თანხმომავანი და ერთი, მისგან დაცილებული ხმოვანი, დანარჩენი ყველაფერი დაიკარგა. თანაც, მიღებული აზრით, მხოლოდ ზმნიზება შეიძლება იქცეს თანდებულად (შანიძე 1984, 603). მაგალითად, **-კენ** თანდებული მომდინარეობს **კერძო**-საგან, ვითარებით ბრუნვაში: **მარჯუენით კერძო, მთად კერძო**, ბოლო მარცვლის დაკარგვის შემდგომ **კერ** იცვალა **კენ**-ად და დაუკავშირდა ნათესაობით, მეორე მხრივ, **კერ > კე**, რომელიც „ვეფხისტყაოსანშიცაა“: „ზღვათაჲ სარკმლით გატყორცა“ (იქვე, გვ. 602). ჩვენი აზრით, **-ყენ** თანდებულის ფუნქციით გამოიყენება, მაგრამ კანონიერი თანდებულია **-კენ**. ის გავრცელებულია აღმოსავლურსა და დასავლურ დიალექტებში, არის სალიტერატურო ქართულში, ხოლო **-ყენ** ანალოგიის ზემოქმედებით უნდა იყოს გაჩენილი. არ იპოვება **ტყ-ის-ყე** ფორმა, იგი იყო და არის **-ყენ** ფონეტიკური სახით. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დასაშვებია ყველა ნაცვალსახელი **-ყე** სუფიქს-მორფემოიდის შემდგომად

ვივარაუდოთ, როცა -ყე-მ დაკარგა ორობითობის გამოხატვის ფუნქცია და მრავლობითი გაფართოვდა.

ორობითი რიცხვის აღმნიშვნელ სახელებში უმეტესად არის კავკასიური ძირების შემადგენელი ბგერები და თვით ფუძეები. ამჟამინდელი ვითარებით ზმნაში -ყე სუფიქსი მრავალფუნქციურია. როგორც აღნიშნულია, ჭირს ამ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქციის დადგენა. ჭირს იმის დადგენაც, რომელია თავდაპირველი: სახელებში ამ ბგერების შემცველი ფუძეებით ორობითობის გამოხატვა თუ ზმნაში პირების ურთიერთობისას მრავლობითის დამატებითი გრამატიკული საშუალებით აღნიშვნა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ფუძეთა მონაწილეობით წყვილობის აღნიშვნა სახელებში პირველადია, ზმნის გრამატიკულ მოდელში მის მიერ პირების (ობიექტის, ობიექტის და გამონაკლისის სახით სუბიექტის) მრავლობითობის დამატებითი აღნიშვნა შემდგომი ფაქტია.

რომელიდაც ქართულ კილოში უნდა მომხდარიყო ამჟამად -ყე მორფემოიდის შემადგენელი -ყ(ე)- ფორმანტის ნიშნად რეინტერპრეტაცია და მას სახელების მსგავსად ორობითი რიცხვის გამოხატვის ფუნქცია უნდა დაკისრებოდა.

საფიქრებელია, რომ -ყე სუფიქს-მორფემოიდის თავდაპირველი ეს ფუნქცია უნდა არსებულიყო იმ კილოში, რომელსაც დღესაც უძველესი მწკრივი ხოლმეობითი აქვს. III ხოლმეობითის შესახებ აღნიშნულია, რომ ეს მწკრივი დიალექტების კუთვნილება იყო. ხევსურულში არსებობს, მაგრამ იშვიათად გამოიყენება (სარჯველაძე, 1972, 147-149). ხოლმეობითი საერთოდ უძველესი ქართულისთვისაა დამახასიათებელი. -ყე ნაწილაკის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ზმნურ შესიტყვებაში ობიექტის ანუ ნივთის ობიექტის ორობითი რიცხვის გამოხატვა, ხოლო ის განსაკუთრებული შემთხვევა, როცა -ყე სუფიქსი გამოხატავს მოთხრობითში დასმული სუბიექტის მრავლობითობას ერთპირიან ზმნებშიც, დაკავშირებულია ერგატიულობასა და კვაზიერგატიულობასთან, როგორც ქართული ენისა და

დიალექტების სუბიექტისთვის არსობრივად დამახასიათებელი აქტიური ბუნების გამოხატულებას.

შემდგომ ხანებში ამ ფუნქციის მოშლას ხელს შეუწყობდა სტატიკურ, იმთავითვე ინვერსიულ, განსაკუთრებით გრძნობა-აღქმის ზმნებში, ადამიანის, პიროვნების წინა პლანზე წამოწევა, პირდაპირი ობიექტის გათანაბრებას სუბიექტთან და მის მიერ ზმნაში ნიშნის მოპოვება (დ.მელიქიშვილი), რასაც უნდა გამოეწვია სხვა ან იმავე კილოში -თ სუფიქსით მრავლობითის გამოსახვა, რასაც თანამედროვე კილოებშიც ვხვდებით, ხშირად ორივე სუფიქსია წარმოდგენილი. თანაც ეს სუფიქსები გამოხატავენ, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობას.

სწორედ ამ ორმაგი სუფიქსაციის დიამორფოსინტაქსემაში არის საძიებელი ამ სუფიქს-მორფემოიდის ამოსავალი და შემდგომ განვითარებული ფუნქციები, შესაძლოა, სხვადასხვა კილოში ერთდროულადაც: ზოგ კილოში დაკავშირებული ხოლმეობითობასთან, ზოგ კილოში ნივთის ობიექტის ორობითობასთან. ზოგ კილოსა და ზმნაში ის მრავლობითის -თ სუფიქსის შემდგომ გვხვდება, ფაქტობრივად, უფუნქციოა: ფერეიდნულში: **გავრეკე-თ-ყე**, ძვ.ქართულში იქნებოდა **გა-ვ-რეკ-ენ-ი-თ**; ეს -ენ და -თ სხვადასხვა კილოური წარმომავლობისაა. საკუთრივ პირდაპირ ობიექტს ზმნაში აგენტი ამჟამად არ აქვს. მისი მრავლობითობა ზმნაში უნდა იყოს წარმოდგენილი აგენტით, როგორც ძველ ქართულში გარკვეული ტიპის ზმნებთან. ხევსურულმა, თუშურმა და ფშაურმა შეინარჩუნა ძველი ქართულისებური წარმოება, ორობითი რიცხვი სახელებში სწორედ ხევსურულშია ნავარაუდევო, -ნ და -თი ნიშნით.

სახელებში -თ (მოთხრობითში, მიცემითში, ნათესაობითში) და ზმნებში -თ სიმრავლის აღმნიშვნელი ნიშნები წარმომავლობით ერთი კილოს კუთვნილება ჩანს და ერთი ოდენობაა. -ნ ნიშანიც სახელებში და ზმნებში ასეთივე ერთი ოდენობაა. არსად ჩანს -ყ(ე) ფორმანტი, რომელიც აქვს ფერეიდნულს, ინგილოურს და რაჭულს. ფერეიდნული და ინგილოური კახურის განაყარი კილოებია, რაჭული უკავშირდება

როგორც აღმოსავლურ მთის, ასევე დასავლურ დიალექტებს: იმერულს, ლეჩხუმურს. ორივე ამ კილოში გვაქვს -ყე სუფიქსი.

იმის სამტკიცებლად, რომ -ყე-ს ჰქონდა წყვილობის გამოხატვის ფუნქცია, მნიშვნელოვანი საბუთია ის, რომ -ყე არ არის ზმნაში არც ერთი პირისა და რიცხვის ნიშანი, ის არის მიმთითებელი სიმრავლეზე, რაც ნიშნავს, რომ ის მორფემის ნაწილია, მორფემოიდია, შესაძლოა, სწორედ იმ მორფემისა, რომელიც აღნიშნავდა რიცხვით სახელ ორს. ინგილოურში: გა-ვ-ზარდ-ე-ყე მე, ისინი, რაჭულში დააყენ-ე-ყე შენ, ისინი, ყე ნიშანი არ არის ზმნაში, რადგან მისი თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ორობითის გამოხატვა.

აქვე დავსძენთ, რომ -ყე სუფიქს-მორფემოიდის ფუნქცია ახლოს დგას ქართველურ ენებში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიასთან. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია და მისი ნიშანი უძველეს ქართულსაც ახასიათებდა და კარგად ჩანს სვანურში. ენას მისი სახით აქვს განსაკუთრებული კატეგორია. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მის გვერდით ენაში უნდა ყოფილიყო ორობითობის გამომხატველი გრამატიკული კატეგორიაც ლექსიკურ საშუალებებთან ერთად. ინკლუზივ-ექსკლუზივიც აჯგუფებს პირებს: მე და შენ, მე და თქვენ, თანაც აჯგუფებს ბინარულად. ბინარულობის ანუ ორობის, წყვილობის გამოხატვა არის ორობითობის, როგორც კატეგორიის არსი.

-ყე ნაწილაკის პოლიფუნქციონირება ქართული ენის დიალექტურ არეალებში, ფაქტობრივად, ამჟამადაც ერთგვაროვნებას ინარჩუნებს, ის სხვადასხვა დიალექტში გამოხატავს როგორც მიცემითში დასმული ირიბი ობიექტის, ისე სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის, სახელობითში დასმული სუბიექტის, მოთხრობითში დასმული სუბიექტის მრავლობითობას. კილოების მიხედვით ამ სუფიქსის ფუნქციებს ვრცლად აქ აღარ შევხებით (საკითხისათვის იხ. ბენდელიანი, 2018, 2018), მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს ფერეიდნულში: გავრეკეთყე, ინგილოურში S

გავზარდეთ, რაჭულში S დააყენეთ; „ამ შემთხვევაში ცვლის ძველ ქართულში გამოყენებულ -ენ (>-ნ) სუფიქსს: გა-ვ-რეკ-ე-თ-ყე = გა-ვ-რეკ-ენ-ი-თ (ძველი ქართულისებური წარმოება ამჟამად თავს იჩენს ხევსურულში, თუშურში, ფშაურში) (მორფემ.ლექსიკ., 1988, 421).

ქვემოიმერულში დოკუმენტურად არ დასტურდება -ყე თანდებულის არსებობა, მაგრამ -ყე სუფიქს-მორფემოიდი გვხვდება 1510 წლის იმერულ საეკლესიო საბუთში: ვინცა უსამართლოდ ძალად შინა ჩამოგიხდეს-ყე (თქვენ); არის, ასევე, XVIII საუკუნის დოკუმენტშიც: ვინცა არავინ სხვამა ვერ გთხოვოს-ყე (თქვენ); აქვს-ყე ჩვეულება მოწაფეთა ქსთა (ქრისტეისტა); ეს უკანასკნელი მაგალითი გვხვდება იმავე საუკუნის სამეგრელოში შედგენილ საბუთში (იხ. ძიძიგური, 1954,50). -ყე სუფიქსი არ იპოვება ზანურში, ნარევ ქართულ-მეგრულ სამეტყველო კოდებში, სამეგრელოსპირა მარგინალური სამეტყველო არეალის არც ერთ მიკროკოდში, გარდა ლეჩხუმურისა და ქვემოიმერულ-ლეჩხუმურისა.

განსაკუთრებულია ამ სუფიქსის გამოყენება ხონურში, რასაც შ.ძიძიგური „უნიკუმს“ უწოდებს. ის თავს იჩენს კავშირებითის ფორმებში. ქართულ კილოებში ის გრამატიკული ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს, ხოლო ხონურში ერთვის მეორე კავშირებითის მესამე პირის, ე.ი. ბრძანებითის ფორმას და გამოხატავს სუბიექტის მრავლობითობას. -ყე ან მისი ფონეტიკური ვარიანტი -კე, ნ დართული, გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, რადგან -ყე ნაწილავს შესუსტებული უნდა ჰქონოდა მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია. ამ მიკროკოდში აღნიშნავს მოთხრობითით გადმოცემული სუბიექტის მრავლობითობას, არის ერთპირიან ზმნებთანაც, ასევე, გვხვდება მიცემითით გადმოცემული სუბიექტისა და სახელობითში დასმული ობიექტის რიცხვის გამომხატველად. სწორედ ესაა ამ მიკროკოდის უნიკალურობა: მოთხრობითი: თუ გააკეთებენ, გააკეთოწყენ (//გააკეთოსკენ) მა დალოცვილიშვილებმა ე ლობეი (ძიძიგური, 1954,152); წევიდეწყენ (წევიდესკენ) ბაღნებმა სათამაშოთ; იყვეწყენ მეზობლებმა თავისთვინ (ბოლო ორი მაგალითი აღნიშნავს სუფიქსის გამოყენების თანამედროვე ვითარებას). ასეთი კონსტრუქცია ამჟამადაც გამოიყენება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ერთპირიან ზმნასთან მოთხრობითში დასმული სუბიექტის გამოხატვა -ყე სუფიქსით. ასეთი კონსტრუქცია კვაზიერგატიულია. ასეთ კონსტრუქციაში კვაზიერგატიულობა სინტაქსური ანალოგიის კანონის საფუძველზეა ახსნილი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში სხვა კილოთა მსგავსად, ქვემოთმერულშიც ამ კონსტრუქციაში მხოლოდ გარდაუვალი ზმნაა/ ზმნებია. ხომ არ არის საფიქრებელი, რომ -ყე სუფიქსმა, როგორც ორობითობის გამომხატველმა, ამ სინტაქსური კავშირის საფუძველზე მოითხოვა მოთხრობითი, როგორც მოქმედის, ადამიანის, პერსონის გამომხატველი ბრუნვა. სხვა შემთხვევაში ის სუბიექტის ორობითობას ვერ გამოხატავდა. ცნობილია, რომ ირიბი ობიექტი პაციენსია, რის შესახებაც არის საუბარი, პირდაპირი ობიექტი თვით არის განმცდელი, ხოლო მოთხრობითი აგენსია, რომელიც ზმნურ შესიტყვებაში უშუალო შემადგენლად ზმნის შემდეგ აუცილებლად გამოიყოფა: **წევადეწყენ ბაღნებმა**, უშუალო შემადგენელია ზმნა, **წევადეწყენ სათამაშოდ**, უშუალო შემადგენელი ისევ ზმნაა; **სათამაშოდ** უშუალო შემადგენელი არ არის, უშუალო შემადგენელია **ბაღნებმა**, ხოლო მორფემათა დაყოფისას ჯერ გამოიყოფა *-ეს, -ყე, -ნ, შემდეგ მოთხრობითის -მა ნიშანი. მრავლობითის აღმნიშვნელია შემდგომ დართული -ნ სუფიქსი (-წყე-ნ), რომელიც უძველეს ქართულში ჰქონდა მოთხრობითის ნიშანსაც: მა-ნ. ნავარაუდევია მოთხრობითის ნიშნად -ნ: **კაც-ნ მან**, -ნ ფორმანტი შეერწყა **მან** ნაცვალსახელს თუ ნაწევარს (შანიძე, 1980,620). სწორედ ეს **ნ**- ნიშანი -ყე სუფიქსთან ერთად უნდა ყოფილიყო ორობითობასთან დაკავშირებული. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ორობითობის გამოხატვა ხოლმეობითობასთან არის კავშირში: -ყე სუფიქსიც განგრძობით, მრავალჯერად მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ მრავალგზისობა მისი გვიანდელი ფუნქცია ჩანს, მას შემდეგ, რაც დაკარგა ორობითის გამოხატვის ფუნქცია და დაუკავშირდა ზმნათა მრავლობითობას.

დასკვნა

1. -ყე სუფიქსის ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრების მცდელობა შუა საკუნეებიდან იწყება, კერძოდ, იოანე პეტრიწის ენასა და გელათის სამწიგნობრო სკოლაში. ამ დრომდე ის გავრცელებული ჩანს აღმოსავლურსა და დასავლურ დიალექტებში, ტექსტებში ჩნდება VII საუკუნიდან.
2. მსოფლიოს სხვადასხვა ენაში არსებობს ორობითი რიცხვის გამოხატვის ფაქტები როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური საშუალებებით. ქართულში ის მხოლოდ ლექსიკურად გამოხატულად მიიჩნევა.
3. ქართულს, როგორც მდიდარი მორფოლოგიის მქონე ენას, უთუოდ უნდა ჰქონოდა გამოხატვის გრამატიკული საშუალებებიც. არ გამოირიცხება ენათა კონტაქტებიც. უძველესი ენებიდან, რომლებთანაც ქართულს კავშირი ჰქონდა, ორობითი რიცხვი აღდგენილია ხეთურში, ჰქონდა ძველ ანატოლიურ ენებსა და ბერძნული ენის ატიკურ დიალექტს, უნდა ჰქონოდა გრაბარსაც; რაც მთავარია, ორობითი რიცხვი ჰქონდა არამეულს და არაბულს. ეს ენები საქართველოში ქრისტეს აქეთ პერიოდში თანმიმდევრობით იყო გავრცელებული.
4. დასაშვებია მთის იბერიულ-კავკასიური ენების მორფოლოგიური ინვენტარის გამოყენებაც: ამ ენებში იპოვება რიცხვით სახელ ორის აღმნიშვნელში **ყო, ყუ, ყუჲ, ყა** და **ყე** მარცვლები და ლექსემები: **ტყუ-ბი/ტკუ-ბი/ტყუ-ჭი...** რომლებშიც **ტ** განვითარებულად ითვლება. ქართველურ ენებში, ზანურსა და სვანურში, ორის აღმნიშვნელებში, ერთი მხრივ, გვაქვს **ოორი**, მეორე მხრივ, **ყ-ორი**, ირკვევა, რომ **ყ-ს** იოტად-ად შენაცვლება ფონეტიკურად მეგრულსა და ჭანურში დოკუმენტურად საბუთდება.
5. გამოთქმული მოსაზრება, რომ -ყე არის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის **ყველა**-ს ცვეთის შედეგი, შესაძლოა სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს. ქართულში მრავლობითის აღმნიშვნელი ნიშნები სხვადასხვა კილოური წარმომავლობისაა. -ყ და -ყე ზმნაში არაფრის ნიშანი არ არის, ის მიუთითებს სიმრავლეზე.
6. -ყე რომელიღაც ქართული კილოს კუთვნილება ჩანს, რომლის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო სუბიექტისა და ობიექტების მრჩობლობის, წყვილობის

აღნიშვნა, შემდგომი მოვლენა უნდა იყოს მისთვის სიმრავლის გამოხატვის ფუნქციის დაკისრება, როცა უკვე დაკარგა მრჩობლობის, ტყუპობის გამოხატვის ფუნქცია.

გამოყენებული ლიტერატურა

ბენდელიანი, 2018 – ც.ბენდელიანი, მოზაიკური სამეტყველო არეალი. მორფოლოგია, თბილისი, 2018.

თოფურია, 1979 – ვ. თოფურია, შრომები, ტ. III, თბილისი, 1979.

ივანოვი, ვ.ვს. – ვ.ვს.ივანოვი, ლუწი და კენტი, ტვინის ასიმეტრია და ნიშანთა სისტემები, მოსკოვი, 1978 (რუს.ენ.).

ორბელიანი – ს.-ს. ორბელიანი, თხზულებათა ტ. IV², თბილისი, 1966.

სარჯველაძე, 1972 – ზ.სარჯველაძე, ახალი მასალები მესამე ხოლმეობითის შესახებ, მაცნე, ე/ლ სერია, #3, 1972.

ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ფუტკარაძე, 1973 – შ.ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1973.

ქეგლ-ი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

შანიძე, 1981 – ა. შანიძე, თხზულებანი, 12 ტომად, ტ. II, თბილისი, 1981.

შანიძე, 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, 12 ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

შენგელია, 1999 – ვ.შენგელია, მეგრული ტკუტკუბურო, ქუთაისური საუბრები, VI, ქუთაისი, 1999.

შოთა რუსთაველი, 2005 – შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ნ.ნათაძის კომენტარებით, თბილისი, 2005.

ჩიქობავა, 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.

ჩუხუა, 2000-2003 – მ.ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

ჯავახიშვილი, 1992 – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, თორმეტ ტომად, ტ., X, თბილისი, 1992.

ჰუმბოლდტი, 1985 – ვ. ფონ ჰუმბოლდტი, ორობითი რიცხვის შესახებ, წგ. ენა და კულტურის ფილოსოფია, მოსკოვი, 1985 (რუს.ენ.).

აბსტრაქტი

-ყე სუფიქსის შესახებ საენათმეცნიერო/დიალექტოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა იგი განსაზღვრებითი ნაცვალსახელ ყველა-ს ცვეთის შედეგად იყოს მიღებული (არნ.ჩიქობავა). ამ მოსაზრებას აქვს საფუძველი, თუ მას ორობითი რიცხვის პარალელურად გაფართოებული მრავლობითის გადმოცემის საშუალებად მივიჩნევთ, როგორც არსებობს მსოფლიოს ზოგ ენაში, კერძოდ, აბიპონის ენაში, მაგრამ მასთან ქართველურ ენებს კავშირი არასოდეს ჰქონია, ხოლო დამოუკიდებლად მისი ჩასახვა შესაძლებელია. ქართველურ ენებში შესაძლოა -ყე სუფიქს-მორფემოიდი რიცხვითი სახელ ორ-ის მნიშვნელობის გამომხატველი იყოს, რომელიც ჩნდება მრჩობლობის/წყვილობის აღმნიშვნელ ქართველურ მდიდარ ლექსიკურ მასალაში.

ქართულში მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდან მომდინარე **ტყუ-** ფუძის შემცველი მრავალი სახელი იპოვება: **ტყუ-ბი/ტკუ-ბი, ტყუ-ჭი...** ძვ. ქართ. **ტყუ-ელ-ვა**, **აღ-ტყუ-ელ-ვა** (ორივე ხელით ტაშის ცემა; ორივე ხელის აღმართვა). ამ ფუძეთა არსებობა მითითებულია საერთოქართველური ენის დონეზე. ამასთანავე, მთის კავკასიურ ენებში რიცხვითი სახელ ორის აღმნიშვნელ ფუძეებში არის **ყო, ყუ, ყუბე, ყა** და **ყე** მარცვლები. ქართველურ ენათაგან მეგრულშიც და სვანურშიც იპოვება **ორ-**ის აღმნიშვნელ ფუძეებში იგივე ან ფონეტიკური ცვლილებით მიღებული მარცვლებისგან შედგენილი რიცხვითი სახელ **ორ-**ის აღმნიშვნელები.

სტატიაში განხილულია ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში არსებული მასალა. გამოტანილია დასკვნა, რომ ქართულს, როგორც მდიდარი მორფოლოგიის მქონე ენას, უნდა ჰქონოდა ორობითი რიცხვის გამომხატველი გრამატიკული საშუალებაც, რომლის ნიშანი უნდა ყოფილიყო სწორედ -ყე სუფიქს-მორფემოიდი. მისი თავდაპირველი ფუნქციებიდან ეს ფუნქცია რომელიღაც კილოში უნდა ჰქონოდა, დამოუკიდებლად ან სხვა ფუნქციებთან ერთად, გამოხატავდა ზმნის პირების ორობითობას. შემდგომში ჩანს ეს ფუნქცია დაბინდული, ხოლო სიმრავლის გამოხატვა შენარჩუნებული.